

სხვა საქართველო
ANOTHER GEORGIA

თბილისი
TBILISI
2009

სსპა საქართველო

ავტორები:

არჩილ ქიქოძე,
ცისანა გოდერძიშვილი

რედაქტორი:

დავით გაბუნია
მარინა თაბუკაშვილი

ინგლისური თარგმანი:

ირაკლი ბერიძე

დიზაინი, დაკაბადონება:

მაია კაპანაძე

ფოტოები:

არჩილ ქიქოძე,
ცისანა გოდერძიშვილი,
მარინა თაბუკაშვილი,
მარიამ მოსაშვილი

ფოტო ყდაზე:

ეფრემოვკის სარეცხი, ჯავახეთი
არჩილ ქიქოძის ფოტო

© ფონდი ტასო, 2009

ISBN – 978-9941-0-1564-9



„ფონდი ტასო“ (ქალთა ფონდი და მენსიერების კვლევის ცენტრი)
Taso Foundation (women's fund and memory research center)

თბილისი, 0108, რ. თაბუკაშვილის 15
ტელ: +995 32 920595
ელ. ფოსტა: info@taso.org.ge
ვებ-გვერდი: www.taso.org.ge

ANOTHER GEORGIA

Authors:

ARCHIL KIKODZE
TSISANA GODERDZISHVILI

Editing:

DAVIT GABUNIA
MARINA TABUKASHVILI

Translation:

IRAKLI BERIDZE

Design, layout:

MAYA KAPANADZE

Photos by:

ARCHIL KIKODZE
TSISANA GODERDZISHVILI
MARINA TABUKASHVILI
MARIAM MOSASHVILI

Cover page:

DRYING LAUNDRY IN EPHREMOVKA, JAVAKHETI
photo by Archil Kikodze

© Taso Foundation, 2009



OPEN SOCIETY INSTITUTE
& Soros Foundations Network

წიგნი მომზადდა და გამოქვეყნდა
ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ და
„ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ მხარდაჭერით
Prepared and published with the support of
Open Society Georgia Foundation and
Open Society Institute

სარჩევი CONTENT

წინასიტყვაობა	4
Foreword	4
საქართველო: ეთნიკური მრავალფეროვნება და დღესასწაული კახეთში	8
Georgia: Ethnic Diversity and Celebration in Kakheti	8
არჩილ ქიქოძე/Archil Kikodze	
ცისფერი, თეთრი და სუფთა (ც. გოდერძიშვილის ფოტოები)	37
Blue, White and Clean (photos by Ts. goderdzishvili)	37
ცისანა გოდერძიშვილი/Tsisana Goderdzishvili	
სარუსოში (ც. გოდერძიშვილის ფოტოები)	60
Visiting Saruso (photos by Ts. goderdzishvili)	61
ცისანა გოდერძიშვილი/Tsisana Goderdzishvili	
ამონარიდები ინტერვიუებიდან/Extracts from interviews	
რუკიათა (მარია)	83
Rukiata (Maria)	83
ბაკირი	96
Bakir	96
მაჰმუდი	99
Mahmud	99
მამადსონი	101
Mamadsoin	101
მარიამი	104
Mariam	104
ქეთო	106
Keto	106

წინასიტყვაობა FOREWORD

თუკი ყვარლის მხრიდან დაუყვებით გზას ლაგოდეხის მიმართულებით, ერთმანეთის მიყოლებით, სულ რაღაც ორმოცი-ოდე კილომეტრზე, შეხვდებით ოსების (წინკანანთ სერი), უდების (ზინობიანი), ავარელების (ჩანთლისყურე, თივი, სარუსო), აზერბაიჯანელების (კაბალი, განჯალა, უზუნთალა) და ცოტა მოშორებით მალაკნების (გრაფოვკა) სოფლებს, ხოლო თუ ცოტა ღრმადაც შეიხედავთ, გაგაოცებთ თავისებურება იმ სოციალურ-კულტურული ყოფისა, თითოეულში რომ სუფევს. ერთი შეხედვით, ამ სოფლების დაარსების ისტორია რაღაცით წაგავს ერთმანეთს: ერთნაირად იტეხებოდა ყამირები წყლის სიახლოვეს, სუფთავდებოდა ჭყანტობები, ითხრებოდა მიწურები ან მონწული, ჩალით გადახურული ქოხები იდგმებოდა, მაგრამ ყოველ სოფელში სრულიად განსხვავებული კულტურა შემოდიოდა და იდებდა ბინას. ასევე განსხვავებული იყო ეთნიკური ჯგუფების ჩამოსახლების მიზეზები და თარიღები. ეს ხალხი, მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული, ათეულობით წლებია ცხოვრობს მეტნაკლებად ჩაკეტილ თემებად ისე, რომ ფართო საზოგადოებამ, დღესაც კი, არაფერი იცის „გაღმა კახეთის“ ეთნოკულტურული, რელიგიური მრავალფეროვნების შესახებ. ჩვენი პროექტი სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი სოფლებისკენ იყო მიმართული, ხოლო წინამდებარე პუბლიკაცია მოკრძალებული ცდაა დაგაახლოვოთ იქაურ ადამიანებთან და წარმოგიდგინოთ

Heading on from Kvareli to Lagodekhi, within 40 kilometers, one will come across Ossetian (Tsitskanaant Seri), Udin (Zinobiani), Avar (Chantliskure, Tivi, Saruso), Azerbaijani (Kabali, Ganjala, Uzuntala) and a little further Russian Molokan (Grafovka) villages. A closer look at these villages will impress with the diversity of socio-cultural lives of each and every of them. At the first glance the history of founding of these villages looks similar: new soils were upturned near the water sources, marshes were cleaned, dug-outs and wattled huts were built in the same way; but each of these villages brought and developed diverse cultures. The reasons and dates of resettlement of different ethnic groups were diverse as well. These people, having resettled from the neighboring countries, live in Georgia for decades in more or less isolated communities; and even today society in general is unaware of ethno-cultural and religious diversity of "outer Kakheti".

Our project targeted the abovementioned villages; this book is a modest attempt to bring you closer to those people and represent multiple cultures captured in this small part of Kakheti. Photo material depicting religious and/or public celebrations, or just field work days, was taken during our project.

კულტურათა სიმრავლე, კახეთის ეს პატარა ნაწილი რომ იტყვს. ამ მიზანს ემსახურება სიმრავლე ფოტომასალისა, რომელიც პროექტის მსვლელობისას, ხალხურ თუ რელიგიურ დღესასწაულებზე ან უბრალოდ, საველე სამუშაოებისას არის გადაღებული.

ნიგნში ასევე შევიდა რამდენიმე ამონა-რიდი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ინტერვიუებიდან, რომლებშიც კულტურის თავისებურებებიც იკითხება და მეხსიერებაში დაღექილი, მითებად გარდასახული წარსულიც. ინტერვიუების ტექსტებში უმეტესად დაცულია ავტორთა ცოცხალი თხრობა. ამით, ადამიანთან მისაახლოვებლად, ვეცადეთ, მკითხველამდე მოგვეტანა ჩვენი რესპოდენტების ქართული. ქართულის მცოდნე, განსაკუთრებით ქალთა შორის, ამ სოფლებში იშვიათი და საძებარია.

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც მონაღმებით გვთანხმდებოდა ფოტო/ვიდეო გადაღებასა თუ ინტერვიუზე და ამით, თუნდაც ცოტა ხნით მაინც, თანაზიარს გვხდიდა თავისი ცხოვრებისა და მათაც, ვინც დიდი სურვილის მიუხედავად, ენობრივი თუ სხვა ყოფითი ბარიერის გამო, ეს ვერ შეძლო.

მადლობა ღია საზოგადოების ინსტიტუტის (ბუდაპეშტი) ხელოვნებისა და კულტურის ქსელურ პროგრამას და ფონდს „ღია საზოგადოება - საქართველო“, ვისი მხარდაჭერითაც განხორციელდა პროექტი „ეთნიკური მრავალფეროვნების ზეიმი კახეთში, საქართველო“.

ფონდი ტასო

The book includes several extracts from the interviews with different ethnic group representatives; the texts reflect cultural specifics and mythologized past, crystallized in individual memories. The original narration style is kept in the interviews, with insignificant editorial changes. Thus, we have attempted to come closer to the narrators, as well as deliver the Georgian speech of our respondents; as Georgian speaking people, and particularly women, are very rarely to be found in these villages.

We would like to thank those who eagerly agreed to photo/video sessions and interviewing, thus allowing us to share brief moments of their lives with us; and thank those who, despite of their sincere wish, could not participate in this project due to language and/or other barriers.

We would like to thank Open Society Institute (Budapest) Arts & Culture Network Program and Open Society Georgia Foundation for support in implementation of the project Celebrating Ethnic Diversity in Kakheti, Georgia.

Taso Foundation





1. სოფლები ბაისუბანი და კაბალი, ლაგოდეხი (ფოტო: მ. მოსაშვილი)
The villages of Baisubani and Kabali, Lagodekhi (Photo by M. Mosashvili)

საქართველო: ეთნიკური მრავალფეროვნება და ღვინასნაული კახეთში

GEORGIA: ETHNIC DIVERSITY AND CELEBRATION IN KAKHETI

არჩილ კიქოძე
Archil Kikodze

საქართველო წარმოუდგენელია მისი კულტურული მრავალფეროვნების გარეშე. ეს მრავალეთნიკური ქვეყანაა, ხოლო თბილისი – მრავალეთნიკური ქალაქი. მუდამ ასე იყო, და იმედი მაქვს, მომავალშიც ასე იქნება.

მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველო და მთლიანად ამიერკავკასია ყოველთვის იყო ყველა მახლობელი დიდი იმპერიის ინტერესების დაჯახებისა და მათი ბრძოლის ასპარეზი: იქნებოდა ეს რომი და პართია, ბიზანტია თუ სასანიდური ირანი, არაბები და ხაზარები, მონღოლთა „ოქროს ურდო“ თუ სელჯუკთა თურქეთი. გვიან შუა საუკუნეებში ამიერკავკასიაში სპარსეთი და თურქეთი მძლავრობდნენ, მეთვრამეტე საუკუნიდან კი შავი და კასპიის ზღვებს შორის მოქცეულ, კულტურათა გზაჯვარედინზე მდებარე ამ ძალიან თავისებური რეგიონისთვის ბრძოლას კიდევ ერთი ძლიერი მოთამაშე – ჩრდილოეთით გაძლიერებული რუსეთის იმპერია შეუერთდა.

დამპყრობლები მოდიოდნენ საქართველოში და ხანდახან ძალზე დიდი ხნით რჩებოდნენ. მარტო ის რად ღირს, რომ თბილისი მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული ხუთასი წლის მანძილზე არაბული გამგეობის ქვეშ იმყოფებოდა. უკლებლივ ყველა დამპყრობელი, შორეული მონღოლეთის სტეპებიდან მოსული მომთაბარეებიც კი, თავის კულტურულ კვალს ტოვებდნენ საქართველოში და ხანდახან ტოვებდნენ მოსახლეობასაც. სხვანაირად ვერც მოხდებოდა და ჩვენი ქვეყნის მრავალეთნიკურობა სწორედ აქედან მოდის.

It is probably impossible to imagine Georgia without its cultural diversity. It is a multiethnic country and Tbilisi is a multiethnic city. It has always been this way and I hope it will remain this way in the future.

Throughout its long history, Georgia and the Caucasus on the whole have always been the battlefield and the arena of clashes of interests of all the surrounding large empires, be they Rome or Parthia, Byzantium or Sassanid Iran, Arabs and Khazars, the Mongolian "Golden Horde" or Seljuk Turkey. In the Late Middle Ages, Persia and Turkey dominated Caucasus, and starting from the XVIII century, a new, powerful actor, the Russian Empire that had grown strong in the North, joined the battle for this very special region located between the Black and the Caspian seas, at the crossroads of cultures.

Conquerors came to Georgia and sometimes stayed here for a long time. It would suffice to note that from the VII century on, Tbilisi remained under control of Arabs for 500 years. Every conqueror, with no exception, even the nomads from the remote steppes of Mongolia, left their cultural mark in Georgia and sometimes they even left their population here, too. It could not be any other way, and this is where the

შედარებით გვიან წარსულში, მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში, რუსეთ-თურქეთის ომის და პირველი მსოფლიო ომის ხანებში ამ პროცესებისთვის (ხალხთა მიგრაცია და ახალი ეთნოსების საქართველოში შემოსვლა თუ მათი ქვეყნიდან გასვლა) თვალის მიდევნება ძალიან იოლია.

საქმე ისაა, რომ ორი იმპერია, რუსეთი და ოტომანური თურქეთი, არა მხოლოდ დიდი ხნის მეტოქეები და დაუძინებელი მტრები, არამედ სხვადასხვა აღმსარებლობის ქვეყნებიც იყვნენ. რუსეთი ამიერკავკასიაში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში შემოვიდა და საქართველოს დაქუცმაცებული პატარა სამეფოების და სამთავროების თანმიმდევრულ ანექსიას შეუდგა, რის შემდეგაც, ამიერკავკასიაში უკვე კარგად ფეხმოკიდებულმა, თურქეთსაც შეუტია და 1828 წელს ახალციხე აიღო. ასე დაუბრუნდა სამასი წლის მანძილზე თურქეთის იმპერიაში გურჯისტანის ვილაიათის სახელით მყოფი მესხეთ-ჯავახეთი საქართველოს. ოღონდ საქართველო თავად რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და 1828 წლის ომში ერთმანეთის პირისპირ არა მარტო რუსები და თურქები, არამედ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველებიც იდგნენ, ხოლო ახალციხის მინარეთიდან გრიგოლ ორბელიანის ზარბაზნით ჩამოგდებულმა ნახევარმთვარემ ხალხთა დიდ მიგრაციებს დაუდო საფუძველი.

რუსეთი ახალციხეს არ დასჯერდა და უფრო წინ მიიწეოდა თურქეთის სიღრმეში (თუმცა საბოლოოდ იქ ფეხის მოკიდება მაინც ვერ შეძლო). ეს იყო პერიოდი, როდესაც რწმენა განსაზღვრავდა ნაციონალობას (სამხრეთ საქართველოში ფრანგ კათოლიკეთა მოღვაწეობის შედეგად გაკათოლიკებულ ქართველობას ხალხი დღემდე „ფრანგებს“ ეძახის), ქრისტიანული რუსეთი თავის სამხრეთი საზღვრებიდან მაჰმადიანების მოცილებას ცდილობდა და მათ თურქეთში ერეკებოდა. ასე დატოვა ათასობით

diversity of ethnicities in our country comes from.

It is very easy to trace these processes (migration and the entry or departure of new ethnicities into or from Georgia) back to the relatively recent past (to the XIX century and the beginning of the XX century), to the time of the Russian-Turkish war and WWI.

The thing is that two empires, Russia and the Ottoman Turkey, were not only age-old rivals and sworn enemies, but countries of different confessions as well. Russia entered Caucasus in the beginning of the XIX century, and started a gradual annexation of the divided small kingdoms and principalities of Georgia; and after making strong enough roots in the Caucasus it attacked Turkey, and took Akhaltsikhe in 1828. That is how Georgia regained Meskhet-Javakheti, which had been known as the Gurjistan Vilayet: part of the Turkish Empire for 300 years. Except that Georgia itself was part of the Russian Empire, and not only Russians and Turks but Christian and Muslim Georgians as well faced one another in the war of 1828, and the crescent cannoned down from the Akhaltsikhe minaret by Grigol Orbeliani laid foundation to vast migrations.

Russia would not settle for Akhaltsikhe and moved further into the depths of Turkey (yet, it never managed to make roots there). That was a period when the creed determined the nationality (Georgians who accepted Catholicism as a result of the activity of French missionaries in South Georgia are referred to as "French" by people to this day), Christian Russia was trying to free its southern borders of



მაჰმადიანმა ქართველმა სამშობლო და თურქეთში გადაიხვეწა. ცოტა მოგვიანებით, მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, იგივე ბედი მაჰმადიანმა აფხაზებმა გაიზიარეს. მუჰაჯირობის სახელით ცნობილმა მოვლენამ, როდესაც ათობით ათასი აფხაზი იძულებით იქნა გასახლებული თურქეთში, გამოიწვია ის, რომ დღეს აფხაზეთში ძალიან ცოტა აფხაზი ცხოვრობს, ხოლო ამ კავკასიელი ხალხის უმეტესობა თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშია მიმოფანტული.

იმავე დროს რუსეთი თურქეთის სიღრმიდან საკუთარი იმპერიის ტერიტორიაზე, და მათ შორის საქართველოშიც, ქრისტიანების გადმოსახლებას უწყობდა ხელს. ასე გამოჩნდნენ საქართველოში ურუმები, იგივე პონტოელი ბერძნები, რომლებიც ძირითადად ქვემო ქართლში, წალკისა და თეთრიწყაროს ტერიტორიაზე დასახლდნენ. თურქეთიდან საქართველოში შემოვიდნენ და მესხეთ-ჯავახეთში დასახლდნენ სომხებიც, თუმცა სომხები საქართველოში უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ, ხოლო ქალაქებში, მათ შორის თბილისში, ვაჭრობითა და ხელოსნობით დაკავებული სომხები ზოგჯერ მოსახლეობის უმრავლესობასაც კი შეადგენდნენ.

ქრისტიანები საქართველოში რუსეთიდანაც სახლდებოდნენ და ეს პროცესი არ ყოფილა ქაოტური. იგი იმპერიის მიერ იყო დაგეგმილი, რუსეთი თავის ტერიტორიიდან იცილებდა მწვალელებად შერაცხულ დუხობორებს, სტაროვერებსა და მალაკნებს, ანდაც თავის ქვეყნის გათავისუფლებისთვის გაუთავებლად მებრძოლ პოლონელებს და მათ იმპერიის განაპირა სამხრეთ გუბერნიებში ასახლებდა.

პირველმა მსოფლიო ომმა და იმპერიების მსხვერვამ კიდევ უფრო მეტი მიგრაცია გამოიწვია, ხოლო ამ მიგრაციათა მიზეზი კიდევ უფრო ტრაგიკული იყო. ასე მოხდა ჩვენთან და არა მარტო ჩვენთან. ამ არნახული მასშტაბების და

Muslims and herded them to Turkey. That is why thousands of Georgian Muslims left their homeland and fled to Turkey. A bit later, in the 1840s, Abkhazian Muslims shared their fate. The phenomenon known as Mujahir, when tens of thousands of Abkhazians were forced to move to Turkey, became the reason of why so few Abkhazians live in Abkhazia today and why the majority of the Caucasian people is scattered in Turkey and the countries of Middle East.

At the same time, Russia supported the settling of Christians from the depths of Turkey in the territories of its own empire, in Georgia among them. That is how Urums, e.g. Pontus Greeks, appeared in Georgia; they mainly settled in Kvemo (Lower) Kartli, in the territory of Tzalka and Tetrizkaro. Armenians also came from Turkey and settled in Meskhet-Javakheti, although Armenians had lived in Georgia from time immemorial, and in the cities, including Tbilisi, Armenians who were occupied in trade and craftsmanship often constituted the majority of the population.

Christians settled in Georgia from Russia as well, and this process was not chaotic. It was planned by the Empire, Russia was getting rid of Dukhobors, Starovers and Molokans who were anathematized as heretics, or Poles who endlessly fought for the independence of their homeland, and settled them in the remote southern provinces of the Empire.

WWI and the collapse of many empires caused more migration, and

მსხვერპლის მქონე ომის შედეგად მსოფლიო რუკაზე გაჩნდა ახალი სახელმწიფოები, მათ შორის დამოუკიდებელი საქართველოც, რომელსაც არსებობა ამჯერად მხოლოდ სამი წლის მანძილზე ეწერა. მაგრამ მანამდე მოხდა მრავალი ტრაგიკული მოვლენა და ეთნიკურ ნიადაგზე დევნა. ეს არის პერიოდი, როდესაც ეთნიკურმა ნაციონალიზმმა პირვლად გამოავლინა თავისი საშინელი სახე. 1915 წელს მოხდა სომეხთა გენოციდი თურქეთში, რომლის დროსაც მილიონზე მეტი ქრისტიანი სომეხი გამოასალმეს სიცოცხლეს, ამავე დროს ეთნიკური წმენდა და გენოციდი მოუწყვეს

ასირიელებს (ასურელებს – ქრისტიან ასირიელებს) და მაზდეან ქურთებს (იეზიდებს).

1915-1918 წლებში საქართველოს თურქეთიდან ლტოლვილ ასურელთა რამდენიმე ტალღა მოაწყდა და მათი დიდი ნაწილი დარჩა კიდეც ჩვენს ქვეყანაში, სადაც უკვე ცხოვრობდნენ რუსეთ-თურქეთის წინა ომების შედეგად დევნილი მათი თანამოძმენი. ისინი კომპაქტურად სახლდებოდნენ თბილისში (კუკიის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე), ანდაც საქართველოს სხვა ნაწილებში (სოფელ ქანდაში მცხეთის რაიონში, სოფელ ვასილევკაში გარდაბნის რაიონში, ასურელთა უბანში სენაკში, ქუთაისში და სხვა).

დღეს საქართველოში მცხოვრებ ქურთ იეზიდთა წინაპრების უმეტესობა ჩვენს ქვეყანაში სწორედ იმ პერიოდში მოხვდა, როდესაც 1918 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ თავშესაფარი მისცა თურქეთიდან დევნილ ქურთებს და მუსულმანი ქურთების მიერ შევიწროებულ იეზიდებს. მათი უმეტესობა თბილისში დაბინავდა.

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში წარმოებული თურქეთისა და რუსეთის ომები მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა მასშტაბის ხალხთა მიგრაციები ხდებოდა უზარმაზარი იმპერიების დატაკების შედეგად, ასეთი დატაკებები კი საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უამრავი იყო. სწორედ აქედან მოდის ჩვენი ქვეყნის ეთნიკური მრავალფეროვნება, რომელიც ხან ჩვენი სიამაყის საგანია, ხან პრობლემა, ხანაც უბრალოდ ჩვენი ყოფის ნაწილი. მას მერე, რაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში ბაბილონიდან დევნილმა ებრაელებმა ჩვენს ქვეყანას შეაფარეს თავი და



the reason for these migrations was even more tragic. That is how it happened here and not only here. As a result of this war of unprecedented proportions and number of victims, new countries appeared on the world map, including independent Georgia which was destined to exist only three years. But many tragic events and ethnic persecutions took place before that; it is a period when ethnic nationalism showed its dreadful face for the first time. In 1915 the Armenian genocide occurred in Turkey during which over a million Christians had been laid to waste; at the same time, ethnic cleansing and genocide had been carried out against Assyrians (Christian Syrians) and Zoroastrian Kurds (Yezidis).

In 1915-1918, several waves of Assyrian refugees from Turkey flooded Georgia, and a big part of them remained in our country where their fellow countrymen, who had been persecuted as a result of the Russian-Turkish war, had already settled. They lived in compact settlements in Tbilisi (surrounding territories of the Kukia cemetery) or other parts of Georgia (the village of Kanda, Mtskheta District; the village of Vasilevka, Gardabani District; the Assyrian quarters in Senaki, Kutaisi, etc).


The majority of the ancestors of Kurdish Yezidis presently living in Georgia wound up in our country precisely at that time when in



5. ლაგოდეხი, სოფ. განჯალა (ფოტო: ა. კიკოდze)
The village of Ganjala, Lagodekhi (Photo by A. Kikodze)

1918, the government of independent Georgia granted asylum to those Kurds who were driven out of Turkey and to Yezidis who were persecuted by Muslim Kurds. Their majority settled in Tbilisi.

The wars conducted by Turkey and Russia in the XIX and XX centuries are merely a single example of the scale of migrations that took place as a result of clashes of mammoth empires, and such clashes abounded on the territory of Georgia and the Caucasus on the whole. That is precisely where the reason for ethnic diversity of our country



მცხეთაში და მის მიდამოებში დასახ-
ლდნენ და იქამდე, სანამ საქართველოში
პირველი ჩინელი და აფრიკელი მიგრანტე-
ბი გამოჩნდნენ, მრავალი რამ მოხდა. მრავ-
ალი ეთნიკური ჯგუფი გაითქვიფა ადგი-
ლობრივ მოსახლეობაში (თუნდაც ყივჩა-
ღები ან კახეთში მცხოვრები სომხები),
მრავალმა კი თავისი კულტურული იდენ-
ტობის შენარჩუნება მოახერხა. ეს წერილი
სწორედ ამ უკანასკნელთ ეხება, უფრო
კონკრეტულად კი – კახეთში მცხოვრებ
რამდენიმე ეთნიკურ ჯგუფს, ვისთანაც
შეხვედრის საშუალება მომცა პროექტმა
„ეთნიკური მრავალფეროვნების ზეიმი
კახეთში, საქართველო“. ამ ეთნიკური
ჯგუფებიდან რამდენიმეს კარგად ვიც-
ნობდი, რამდენიმესთან შეხვედრა კი (მა-
გალითად, უდებთან და ავარელებთან)
ჩემთვის პირველი და შესაბამისად, გან-
საკუთრებით საინტერესო იყო.

აქვე დავძენ, რომ მე არ ვარ მეცნიერი
და არც პრეტენზია მაქვს იმისა, რომ ჩემს
სტატიას ეთნოგრაფიული კვლევა დავარ-
ქვა, ეს უბრალოდ ჩანახატია ჩემი შთაბეჭ-
დილებებისა, რაც კახეთში, ყვარლისა და
ლაგოდეხის რაიონების სოფლებში მივიღე.

საერთოდ ეს ორი რაიონი ეთნიკურად
ჭრელი და საინტერესოა. აი, რამდენჯერ
გამეგლო მანქანით ყვარელ-ლაგოდეხის
გზაზე და არაფერი ვიცოდი იმ ხალხების
შესახებ, რომელთა სოფლებსაც გვერდით

ჩავუვლიდი. ოდნავ გადავუხვიე გზიდან და სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი – სოფელ თივში ავარელების (ჩვენებურად ლეკების) საგაზაფხულო დღეობაზე. ჰო, პირველი მუდამ ეს დღეობა მახსენდება, რადგან ამ ხალხის შესახებ ადრე მართლა არაფერი ვიცოდი და ყველაფერი ახალი იყო ჩემთვის.

ცეცხლზე შემოდგმულ უზარმაზარ ქვაბებში სიმინდი იხარშებოდა, გარშემო საზეიმოდ ჩაცმული ქალები ფუსფუსებდნენ. სახლებიდან ეზიდებოდნენ ტკბილეულს. კაცები ცოტანი იყვნენ. ერთი ბიჭი ვიცანი, უფრო სწორედ, მისი იარებით დაფარული ქოფაკი. ორიოდ დღით ადრე კაბალში ნავრუზ ბაირამობაზე გამართულ ძაღლების ჩხუბში ვნახე ორივე. იმ ბრძო-

lies, which is sometimes the subject of our pride and sometimes our problem, yet sometimes it is just part of our everyday life. Starting from the time when the Hebrews driven out of Babylon found refuge in our country and settled in Mtskheta and its surrounding territories till the time when the first Chinese and African migrants appeared, many things have happened, many ethnicities assimilated with the local population (the same Kipchaghs or Armenians living in Kakheti), yet many managed to retain their cultural identity. My essay is about the latter; to be more precise, about a number of

ethnicities living in Kakheti, the opportunity to meet with which was given to me by this project of which I was an immediate participant. I was well acquainted with several among these ethnic groups, while I had to meet others for the first time, which accordingly made it especially interesting.

I might as well state that I am not a scholar and I do not possess any ambition to call my essay ethnographic research; it will be merely a sketch of my memories of the villages of the Kvareli and Lagodekhi districts, Kakheti, back from a year ago.

In general, these two regions are ethnically colorful and interesting. I had driven the Kvareli-Lagodekhi highway so many times; yet, I knew nothing about those people whose villages I passed. I swerved slightly off the main highway and found myself in a completely different world: in the middle of a celebration of the first day of spring in the Avar (whom we call *Lekis*) village of Tivi. Yes, this celebration is always the first thing that I remember because I really knew nothing about these people before and everything was new to me.

Corn ears were boiling in huge vats over the fire, festively dressed women swarmed around them. They carried sweets from the houses. The men were few in number. I recognized one boy; to be specific, his scar-covered dog. I had seen both of them a couple of

ლაში, რომელიც კაბალის სტადიონზე გაიმართა დოლსა და ჭიდაობას შორის, ახალგაზრდა ლეკის ქოფაკი დამარცხდა. როცა ვუთხარი, შენი ძაღლის ჩხუბი მასსოვს-მეთქი, ბიჭმა მაშინვე გახსნა შუბლი. პირველად დამარცხდაო, მითხრა და მიამბო, რომ ძაღლი მის ძმაკაცს ორიოდე წლის წინ დაღესტანში მოუპარავს. – აქ როგორ მოიყვანა-მეთქი, – ვკითხე და მთებზე გადმოატარაო – ბიჭმა ეშმაკურად ჩაიღიმა და ჩვენს თავზე წამომდგარ, ჯერ კიდევ თოვლით დაფარულ (მარტის ბოლოს ხდებოდა ეს ამბავი) კახეთის კავკასიონისკენ გააქნია თავი. მაშინ მივხვდი, რომ გართულებული სავიზო რეჟიმის და ჩაკეტილი, ორმხრივად ჯარით გამაგრებული საზღვრების მიუხედავად, ამ ხალხს თავის მთისიქითა სამშობლოში ჩასალწევად რაღაც ბილიკები და საიდუმლო გზები მაინც ჰქონდა გადანახული.

სანამ ქალები ქვაბებთან ფუსფუსებდნენ, ჭიდაობა გაიმართა. არც მონანილე და არც

days before at a dog fight organized during the celebration of *Nowruz Bayram* in Kabali. In that fight which took place at the Kabali Stadium, between horse race and wrestling, the young Leki's dog had been defeated. When I told him that I remembered his dog's fight, the boy's face lit up at once. "That was its first defeat", he told me and related to me the dog was stolen from Dagestan by his buddy a couple of years before. I asked him how he managed to bring it over. "Over the mountains", the boy grinned slyly and pointed his head at the still snow-covered (it happened at the end of March) Kakhnetian Caucasus that stood over us. It was then when I realized that in spite of the complicated visa regime and the closed borders guarded by the military from either side, these people still had





8. ჭიდაობა — დღესასწაულის ნაწილი, სოფ. თივი (ფოტო: ა. კიკოძე)
Wrestling, part of the festivities. The village of Tivi (Photo by A. Kikodze)

მაყურებელი ბევრი არ იყო, რამდენიმე ბავშვი მშობლებს მეზობელი ქართული სოფლებიდანაც ჰყავდათ მოყვანილი. ადგილობრივი სკოლის ქართველმა პედაგოგებმაც ჩამოიარეს და მათაც ჩვენსავით ჩაითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. მერე კი ცეკვა იყო. ვიღაცამ სახლიდან მაგნიტოფონი მოიტანა და პირველად ვნახე, თუ როგორ ცეკვავდნენ ლეკები ლეკურს. ძალიან მაგრად ცეკვავდნენ, ხალხურად და ლამაზად. იქ ქალიც იყო ერთი (სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო), ყველასაგან განსხვავებული, ყველაზე ამაყი და მოხდენილი, ცეკვაში და თამაშში პირველი. მაინც კარგია, რომ ავარულ დღეობაზე ალკოჰოლს არ სვამენ, თორემ შეიძლება, იმ ქალის შემხედვარეს, ვინმეს რამე ისეთი გამოუსწორებელი სიბრყივე ჩაედინა, რომ მასპინძელთა კავკასიური სტუმართმოყვარეობა

some paths and secret trails to make it to their homeland over the mountains.

While the women busied themselves at the vats, a wrestling contest was held. There were not too many participants or viewers; some parents from the neighboring Georgian villages had brought their children with them. Georgian teachers from the local school dropped by and they also were treated to tea and sweets. Then there was dancing. Somebody had brought a tape player from home and it was the first time I saw Lekis perform the Leki dance. They danced very well, in a folk manner and beautifully. There was one woman, too (it could not have been any other way), she was different from the others, the proudest and coziest, always the best at dancing and games. Fortunately, they do not serve alcohol at Avar wedding receptions;



9. ფოტო: ც. გოდერძიშვილი
Photo by Ts. Goderdzishvili



10. ფოტო: ც. გოდერძიშვილი
Photo by Ts. Goderdzishvili



11. ფოტო: ა. კიკოძე
Photo by A. Kikodze

უცბად შეცვლილიყო კავკასიური რისხვით.

თანაც ცეკვის მერე თამაში გახურდა და ეს ხალხი ისეთი გულით და გატაცებით თამაშობდა ყოვლად ბავშვურ თამაშებს, მაგალითად, ერთმანეთის გადანეგადმონევისა და ლახტს, რომ იმათ ცქერას არაფერი სჯობდა. ნამდვილი დღესასწაული იყო, თუმცა ერთმა მოხუცმა მითხრა: ეს რა არის, შენ დღესასწაულები ადრე უნდა გენახა, ხალხით რომ იყო სავსე აქაურობაო. ახლა ხალხის უმეტესობა ისევ დაღესტანში დაბრუნდა და აქაურობა გამოცარიელდაო.

დღესასწაული დღესასწაულად და ცეკვა ცეკვად, მაგრამ

otherwise, after beholding that woman, someone could have had done something fatally stupid, so that Caucasian hospitality of the host would have swiftly changed into Caucasian wrath; everything ended well, though.

Also, games picked up after the dances and those people played absolutely childish games as tug of war and *lakhti* with such dedication and excitement that it was a feast for the eyes. It was a true festivity, yet, one elderly person told me, "This is nothing, the place is desolate. You should have seen festivities in the past, when the place was crowded with people. Nowadays, the majority of the people have returned to Dagestan and this place has been deserted."





13. ფოტო: ა. ქიქოძე
Photo by A. Kikodze

თივშიც და მეზობელ ლეკურ სოფელ სარუსოშიც (ყვარლის რაიონში სულ სამი ავარული სოფელია – თივი, სარუსო და ჩანთლისყურე), სადაც ასევე დავესწარიტ გაზაფხულის დღეობას და, წვიმის და უამინდობის მიუხედავად, ხალხი აქაც მხიარულობდა, ჩვენს დანახვაზე კი ნამდვილი წარმოდგენა გამართეს და გულით გაგვიმასპინძლდნენ, მაინც ცხადია, რომ ამ ხალხს უამრავი



13-15. ლახტაობა. სოფ. თივი (ფოტო: ა. ქიქოძე)
The lakhtaoba game. The village of Tivi (Photo by A. Kikodze)

Well, festivities and dances are great but it is obvious that those people have a lot of problems in Tivi as well as the neighboring Leki village of Saruso (in all, there are three Avar villages in the Kvareli District: Tivi, Saruso, and Chantliskure) where we also attended the festivity in honor of the first day of spring, and where people also rejoiced in spite of the rain and



15. ფოტო: ც. გოდერძიშვილი
Photo by Ts. Goderdzishvili



16. სოფელი სარუსო (ფოტო: ა. ქიქოძე)
The village of Saruso (Photo by A. Kikodze)

პრობლემა აქვს. ტელევიზიიდან ვეგონეთ (რადგან ფოტოაპარატის გარდა ვიდეოკამერაც გვექონდა და ცისანა გოდერძიშვილი იქაურობას ფირზეც იღებდა) და გვთხოვდნენ მათი პრობლემები გაგვეშუქებინა, დავხმარებოდით სახლების გაყიდვაში და რუსეთში, დაღესტანში გადასახლებაში. მიზეზებზე ლაპარაკს ერიდებოდნენ, მაგრამ რამდენჯერმე მაინც ახსენეს, რომ მეზობელ ქართულ სოფლებთან გარკვეული პრობლემებიც აქვთ საძოვრებთან და სხვა ტერიტორიებთან დაკავშირებით. ამას ჩაკეტილი ჩრდილო საზღვარიც ემატება, რაც ნათესავებთან და თვისტომებთან მიმოსვლას ართულებს. მე ნამდვილად არ ვიცი, როგორ წარიმართება შემდგომში ამ ერთი მუჭა ხალხის ბედი, მაგრამ მათი ნასვლით კახეთის კულტურულ მრავალფეროვნებას და მთლიანად ჩვენი ქვეყნის მომხიბვლელობას, მგონი, ბევრი დააკლდება.

ყვარელ-ლაგოდების გზაზეა სოფელი ზინობიანიც (ნარსულში „ოქტომბერი“

bad weather, and where, upon seeing us, they put on a true show and hosted us with all their heart. They thought we were from a television program (because besides a photo camera we also had a video camera, and Tsisana Goderdzishvili was filming the place) and asked us to cover their problems, help them sell their homes and move to Dagestan, Russia. They abstained from discussing the reasons, yet, they mentioned several times that they had certain problems with the neighboring Georgian villages over the issue of pastures and other territories. On top of that, there was the closed northern border which



17. სოფელი სარუსო (ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
The village of Saruso (Photo by Ts. Goderdzishvili)



18-19. ცეკვა წვიმაში. სოფ. სარუსო (ფოტო: ტ. გოდერძიშვილი)

Dancing in the rain. The village of Saruso (photo by Ts. Goderdzishvili)







21. უდები. ყვარელი, სოფ. ზინობიანი (ფოტო: ა. ქიქოძე)
The Udis. The village of Zinobiani, Kvareli (Photo by A. Kikodze)

– უდინების (უდების) სამშობლო. უდების მშობლიური ენა დაღესტნურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება და ეს ხალხი ერთ-ერთი ყველაზე პატარა ეთნოსია მსოფლიოში. ამაზე უილიამ საროიანის მოთხრობა გამახსენდა – „70 ათასი ასირიელი“ (უდინები კი 70 ათასზე ბევრად, ბევრად ცოტა არიან და არაზუსტი მონაცემებით, მათი რიცხვი 10000-ს ძლივს აღწევს).

ზინობიანში მცხოვრები უდები გასული საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში ჩამოსახლებულან საქართველოში აზერბაიჯანიდან, ნუხის ოლქიდან, სადაც აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობისგან შევიწროებას განიცდიდნენ. ითვლება, რომ უდები კავკასიელ ალბანელთა შთამომავლები არიან. ალბანეთი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ბალკანეთის ალბა-

made it difficult for them to visit their relatives. I do not know what fate awaits those people, so few in number, but the cultural diversity of Kakheti and the attractiveness of our country on the whole will suffer a great loss with their departure.

The village of Zinobiani ("Oktomberi" in the past; the homeland of Udis) is also located on the Kvareli-Lagodekhi highway. The native language of Udis belongs to the Dagestani language family and these people are one of the smallest ethnicities in the world. This reminded me of William Saroyan's story *Seventy Thousand Assyrians* (as for Udis, they are lot fewer in number than seventy thousand: according to rough calculations, their number barely reaches ten thousand).

Udis living in Zinobiani migrated to Geor-

ნეთთან, ოდესლაც ძღვევამოსილი სახელმწიფო იყო კავკასიაში და დღევანდელი აზერბაიჯანის, სამხრეთ დაღესტნის და საქართველოს მცირე ნაწილსაც – ლაგოდეხის რაიონს (ლაგოდეხის ალბანური დასახელება – ლაკუეთი) მოიცავდა. მეშვიდე საუკუნეში, არაბთა შემოსევების შემდეგ, ალბანურმა სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა, მაგრამ მის მემკვიდრეობაზე იდეოლოგიური ბრძოლა დღემდე გრძელდება. მკითხველს, ალბათ, ახსოვს დავით-გარეჯის მონასტრის გარშემო ატეხილი უთანხმოება, როდესაც აზერბაიჯანის კულტურის მინისტრმა თავის სტატიაში დავით-გარეჯის ლავრა, უდაბნოს მონასტერი და ბერთუბანი ალბანური კულტურის ძეგლებად მოიხსენია, რაც თავისთავად ნონსენსია, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესო ის არის, რომ აზერბაიჯანელი მეცნიერები საკუთარ ქვეყანას ალბანეთის კულტურულ მემკვიდრედ წარმოაჩენენ, მაგრამ ამავე დროს არიან სხვა მემკვიდრეებიც. ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, სამხრეთ დაღესტნის ტერიტორიაზე აღმოჩენილმა ალბანურმა ხელნაწერმა „საშუალება მისცა“ მის აღმომჩენ დაღესტნელ მეცნიერებს, რომლებიც წარმოშობით ლეზგები (დაღესტანში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ეთნოსთაგან ერთ-ერთი) იყვნენ, შეემუშავებინათ ახალი თეორია, რომელიც მომავალში ლეზგური სახელმწიფოს იდეოლოგიის მთავარი შემადგენელი ნაწილი უნდა გამხდარიყო. გაჩნდა მოსაზრება სამხრეთ დაღესტანში და ჩრდილო აზერბაიჯანში მცხოვრები ლეზგების ალბანური წარმოშობის შესახებ, რაც, ამ მეცნიერთა აზრით, საკმარისი უნდა ყოფილიყო ახალი პოლიტიკური წარმონაქმნის – ლეზგური სახელმწიფოს შენებისთვის. არშემდგარ სახელ-

გია from the Nukh region, Azerbaijan, in the 1920s, where they had been persecuted by the Azerbaijani and Armenian population. It is assumed that Udis are the descendants of the Caucasian Albanians. Albania, which has nothing in common with Albania in the Balkans used to be a powerful state once in Caucasia and it covered parts of present-day Azerbaijan, Southern Dagestan, as well as a small part of Georgia, the Lagodekhi District (the Albanian name for Lagodekhi is Lakueti). In the VII century, after the Arab invasion, the Albanian state ceased to exist; however, the ideological struggle over its heritage continues to this day. The reader probably remembers the quarrel



22. ზინო სილიკაშვილი, უდების ჩამოსახლების ხელშემწყობი და მათი წინამძღოლი. ფოტო ო. ქუმსიაშვილის ალბომიდან

Zino Silikashvili, a supporter and leader of the Udis' relocation to Georgia. A photograph from O. Kumsiashvili's album



მნიფოს სწორედ სამხრეთ დაღესტანი და ჩრდილო აზერბაიჯანი უნდა მოეცვა.

ეს პატარა გადახვევა იმისთვის დამჭირდა, რომ კიდევ ერთხელ მეჩვენებინა თუ რაოდენ პოლიტუკურ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენ, კავკასიელები, წარსულს. ჩვენ ყველანი, შედარებით დიდი და უფრო პატარა ხალხები, ისინიც, ვისაც ოდესღაც გვქონია სახელმწიფო და ისინიც, ვინც ამას მოკლებული იყვნენ, ყველანი წარსულზე ვართ ორიენტირებული და სწორედ წარსული, ჩვენი ისტორია კვებავს ჩვენს აწმყოს მომავალზე მეტად, გვიყალიბებს სტერეოტიპებს სხვების და საკუთარი თავის შესახებ. ხოლო ისტორია ყველას ჩვენ-ჩვენი, ყველას სუბიექტური გვაქვს (მგონი ობიექტური ისტორია საერთოდ არც არსებობს) და ეს მომხიბვლელიც არის, ლამაზიც, მიმზიდველიც და ამავე დროს საშიშიც.

26

რა თქმა უნდა, მსგავსი რამ მხოლოდ ჩვენთან არ ხდება. ამაზე ბევრი წიგნიც

over the issue of the Davit Gareji Monastery when in his article the Minister of Culture of Azerbaijan referred to the Davit Gareji Lavra, the Udabno Monastery and Bertubani as monuments of Albanian culture, which is nonsense as such; however, what is interesting in this case is that Azerbaijani scientists present their country as an heir to Albanian culture, yet, there are other heirs as well. At the end of the 90s, after the break-up of the Soviet Union, Albanian manuscripts discovered in the territory of Southern Dagestan gave the Dagestani scientists who discovered them and who were of a Lezgian background (one of the many ethnicities living in Dagestan) "an opportunity" to develop a new ideology which was intended to become the main constituent part of the ideology of the future Lezgian state. A hypothesis surfaced about the Albanian origin of Lezgians living in Southern Dagestan and Northern Azerbaijan which, according to scientists, was intended to be reason enough to create a new

დანერილა სერიოზული მეცნიერებისა, მაგრამ ჩემთვის, კახეთში და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში მოგ ზაურობების და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შეხვედრის დროს, ძალიან თვალშისაცემია ხოლმე, როგორ ცდილობენ მცირე ერების შვილები საკუთარი ისტორიისთვის მეტი მნიშვნელობის მინიჭებას, თანაც საკუთარ იდენტიფიკაციას ახდენენ ისტორიის იმ მონაკვეთთან, როცა მათი წინაპრები ყველაზე ძლევამოსილი იყვნენ. უდები თავიანთ ალბანურ წარმოშობას (მეცნიერთა უმეტესობა ალბანელთა ჩამომავლებად სწორედ ამ პატარა ეთნოსს მიიჩნევს) და ძველ დიდებას უსვამენ ხაზს, ოსები – სკვით-სარმატობას, ქურთები მთელ ახლო აღმოსავლეთში ძლევამოსილი მიდიელების შთამომავლები არიან და ყველა ქურთმა იცის, რომ ჯვაროსნების რისხვა, ეგვიპტის სულთანი სალადინი ქურთი იყო, სომეხს ტიგრან დიდი ენატრება, ქართველს – დავით მეფე აღმაშენებელი და

political entity, the Lezgian state. The failed state was supposed to cover the same areas Southern Dagestan and Northern Azerbaijan.

I needed this small digression to show once more as to how huge a political importance we Caucasians attach to the past. All of us, relatively numerous and smaller peoples, those who had a state once and those who were deprived of it alike, all of us are past-oriented, and it is this very past, our history that sustains our present more than the future, it provides us with stereotypes about others and ourselves. And all of us have our own, subjective history (I reckon objective does not even exist at all), and it is attractive, beautiful, charming, and dangerous at the same time.

Needless to say, such things do not happen only here. Many serious scientific books are written on this issue. But what usually strikes me while journeying in Kakheti and other corners of our country and meeting with various ethnic groups is how the children of small na-

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე საქართველო, და ეს ყველაფერი ერთდროულად გულისამაჩუყებელიც არის (თუკი ვინმე კეთილი მოხუცი გლეხი გიამბობს სადღეგრძელოში), გამაღიზიანებელიც (თუკი სოფლის თვითმარქვია ნახევრადგანათლებული ლიდერი გახვევს თავს) და საშიში და გულისამრევი (თუ სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზეა აყვანილი და მის პოლიტიკას განსაზღვრავს).

ასეა თუ ისე, დაუზბრუნდეთ კახეთს და საქართველოში უდების ერთადერთ დასახლებას სოფელ ზინობიანს, სადაც სათუთად უფრთხილდებიან საკუთარ ტრადიციებს. დღეს ზინობიანში მხოლოდ ორასზე ოდნავ მეტი უდი ცხოვრობს, თუმცა სოფლის საშუალო სკოლასთან არსებობს პატარა ეთნოგრაფიული მუზეუმი და უდები ბეჯითად ცდილობენ არ გაითქვიფონ ადგილობრივ ქართველობაში და თავიანთი იდენტობა შეინარჩუნონ. ისე კი, თუკი იქ მაცხოვრებელი ხალხის ისტორია არ იცი, ისე ჩაივლი სოფელ ზინობიანში, ვერც კი მიხვდები, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უმცირესი ეთნიკური ჯგუფის სამყოფელი მოინახულე.

თუ გინდა, კახეთის ამ ნაწილის ეთნიკური მრავალფეროვნება სრულად იხილო, ახალსოფლის ან კაბალის ბაზრობას უნდა ეწვიო, სადაც ზინობიანელი უდები, ჩანთლისყურელი ლეკები, წინკანანთსერელი ოსები, კაბალელი აზერბაიჯანლები და გრაფოვკელი რუსები გვერდი-გვერდ ვაჭრობენ – ყიდულობენ და ყიდიან. ბაზრობაზე წასვლა მთელი მოვლენაა და ამიტომ ყველა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, საზეიმოდაა გამოწყობილი.

ოსები ვახსენე და აქვე დავძენ, რომ კახეთში მათი რამდენიმე დასახლება კვლავ არსებობს, თუმცა ეს სოფლები უკვე შე-

tions try to attach more importance to their history; also, they link their self-identity to the period in history when their ancestors were the most powerful. Udis emphasize their Albanian origin (the majority of serious scientists of the world consider this small ethnicity the descendants of Albanians) and the glory of times past, Ossetians their Scythian-Sarmatian ancestry, Kurds turn out to be the descendants of Medians, so powerful in the Middle East, and every Kurd knows that Sultan Saladin of Egypt, the scourge of the Crusaders, was a Kurd, an Armenian yearns for Tigran the Great, and a Georgian for King David the Builder and Georgia from Nikopsia to Darubandi; and all of this is poignant (if some kind elderly peasant tells us about it in his toast), irritating (if it is enforced upon us by a self-proclaimed half-educated village leader), and dangerous and nauseating (if it is raised to the level of a national ideology and determines its policy) at the same time.

Anyway, let us return to Kakheti and the only Udi settlement in Georgia, the village of Zinobiani, where they take such a good care of their traditions. Today, only a little bit over 200 Udis live in Zinobiani, yet, a small ethnographic museum exists under the village middle school, and the Udis are trying diligently not to become assimilated into the local Georgian society and to retain their identity. But actually, if you are not acquainted with the history of the people living there, you will pass by the village of Zinobiani without even having realized that you have just visited the place of abode of one of the smallest ethnic groups in the world.

Actually, if you wish to see the ethnic diversity of this part of Kakheti in its fullness, you ought to visit the Akhalsopeli or Kabali fair where the Zinobiani Udis, the Chantliskure Lezgians, the Tzitzkanaantseri Ossetians, the

რეულ დასახლებებად იქცა, რადგან ოსების დიდმა ნაწილმა სახლები გაყიდა და რუსეთის ფედერაციას, ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას მიაშურა. ოსებს მე წინკანაანთ სერშიც შეეხვდი და თელავის რაიონის სოფელ ჯუღაანშიც. ეს ჯერ კიდევ 2008 წლის გაზაფხულზე აგვისტოს მოვლენებამდე იყო, მაგრამ მაშინაც დიდად არავის სიამოვნებდა ჩემი ფოტოაპარატის ჩხაკუნით და ის, რომ ქალაქიდან ჩამოსული უცხო ადამიანი მათი ყოფით იყო დაინტერესებული. მე ვერ მოვხვდი მათ ოჯახებში და მხოლოდ სახლებიდან გამოსული რამდენიმე დამფრთხალი ადამიანის პორტრეტის გადაღება მოვახერხე, თუმცა აქვე ვიტყვი, რომ კახელების სასახლოდ ოსების ეთნიკურ ნიადაგზე დევნასა და შევიწროებას საქართველოს ამ კუთხეში ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისშიც არ ჰქონია ადგილი და მწამს, რომ მუდამ ასე იქნება.

დასაწყისში ერთხელ უკვე ვახსენე ნავრუზ ბაირამის დღესასწაული კაბალში – უზარმაზარ აზერბაიჯანულ სოფელში ლაგოდეხის რაიონში, რომლის მნახველიც გავხდი, უფრო სწორად, ვნახე მხოლოდ ოფიციალური ნაწილი და ვერ გავხდი მონაწილე ნამდვილი სახალხო დღესასწაულისა. ოფიციალური ნაწილი კი დოლისგან, ძაღლების ჩხუბის და ჭიდაობისგან შედგებოდა. დოლი, რომელიც სოფელს გარეთ ჩატარადა, ლამაზი სანახაობა იყო. ადგილობრივი აშულები ელექტროთარს აკვნესებდნენ და კაბალის დანისლულ მინდვრებს მათი უზარმაზარი დინამიკებით გაძლიერებული ბაიათები ეფინებოდა. ჰაერში საქართველოსა და აზერბაიჯანის დროშები ფრიალებდა. მხედრების და მაცურებლის ყიჟინის ქვეშ ცხენები თავდაღმართში მორბოდნენ...



24. ოსი ქალი. თელავი, სოფ. ჯუღაანი (ფოტო: ა. კიქოძე)
The village of Jughaani (Photo by A. Kikodze)

Kabali Azerbaijanis and the Grafovka Russians trade side by side: they buy and sell. Going to a fair is an entire event; that is why everyone (especially the young) is dressed festively.

I mentioned Ossetians and I might as well state that there still are a few of their settlements in Kakheti, even though those villages have become mixed settlements because the majority of Ossetians have sold their homes and headed for the Republic of North Ossetia, the Russian Federation. I have met Ossetians in Tzitzkanaant Seri and the village of Jughaani, the Telavi District, as well. It happened in the spring of 2008, before the August events, but even then nobody was overly happy with the snapping of my camera and with the fact that some stranger from the city was interested in

მერე სოფლის სტადიონზე გადავი-
ნაცვლეთ. ძაღლების ჩხუბი მე არასოდეს
მყვარებია. ფალავნები სულ სხვადასხვა
ადგილიდან, მათ შორის, აზერბაიჯანიდა-
ნაც იყვნენ მოყვანილი. იღებოდა სანაძ-
ლეოები, ჩხუბს იღებდნენ ვიდუოკამერე-
ბითა და ტელეფონებით. ორგანიზატორთა
ყოველგვარი მცდელობა, შეენარჩუნებინ-
ნათ ფართო წრე მოჩხუბართა გარშემო,
კრახით მთავრდებოდა, ბრძოლის დაწყე-
ბისთანავე წრე ირღვეოდა და ასობით მა-
ყურებელი ძაღლებს ზედ ასკდებოდა და
მხოლოდ ზედახორის დროებით დაშლა
იყო იმის ნიშანი, რომ მორიგი ორთაბრძო-
ლა დამთავრდა.

their living. I never made it into their houses
and taking pictures of a few startled people com-
ing out of their places was all I managed to
do. Yet, it should be noted to the credit of Ka-
khetians that an ethnic-based persecution and
cleansing of Ossetians in this corner of Georgia
never took place in the beginning of the 90s,
and I believe it will always remain this way.

In the beginning, I mentioned once the
feast of Nowruz Bayram in the huge
Azerbaijani village of Kabali in the Lagodekhi
district which I witnessed; to be more correct, I
saw only the formal part and never witnessed
the true public festivity. The formal part con-



საერთოდ, ბაირამობის ის ნაწილი, რაც ჩემი თვალით ვნახე, პოლიტიკურ აქციას უფრო ჰგავდა, ვიდრე სახალხო და, მითუმეტეს, რელიგიურ დღესასწაულს. ჭიდაობის ტურნირს ადგილობრივი და სამხარეო მთავრობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მიკროფონში ხშირად ისმოდა მიხეილ სააკაშვილის და ილხამ ალიევის სახელები და ამ ორი ლიდერის ყოველ ხსენებას მქუხარე ტაში მოსდევდა. ერთი სიტყვით ამ ბაირამობისგან მე კი ბევრს მოველოდი, მაგრამ ლეკების სოფელში ნანახი საგაზაფხულო ზეიმისგან განსხვავებით, ის მეტად დამტამპული, დაგეგმი-

sisted of horse races, dog fights and wrestling. The horse race that took place outside the village was a beautiful sight. The local *ashiks* (troubadours) electric *taris* (mandolins) wept and their *bayats* (lyric odes) were amplified through gigantic speakers and enveloped the misty fields of Kabali. The flags of Azerbaijan and Georgia were flying in the air. Horses galloped downhill to the cries of the horsemen and spectators...

Then we moved to the stadium. I never liked dog fights. The fighters had been brought from different places, including Azerbaijan. Bets were made, fights were taped on cameras



25. ძაღლების ჩხუბის მაყურებლები. ნავრუზ ბაირამის დღესასწაული. სოფ. კაბალი (ფოტო: მ. მოსაშვილი)
Dog-fight spectators. The festivity of Nowruz Bayram in the village of Kabali (Photo by M. Mosashvili)



26. ფოტო: ა. ქიქოძე
Photo by A. Kikodze



27. ფოტო: ც. გოდერძიშვილი
Photo by Ts. Goderdzishvili




28. ფოტო: ც. გოდერძიშვილი
Photo by Ts. Goderdzishvili

ლი და პოლიტიზირებული იყო. ნაწილობრივ ეს გასაგებიცაა. აზერბაიჯანული დიასპორა ყველაზე დიდია საქართველოში და მოსახლეობის შვიდ პროცენტს შეადგენს, ხოლო სამანქანო გზიდან მოშორებით მდგარი სამი ავარული სოფელი არავის ახსოვს და ბევრმა მათი არსებობის შესახებაც კი არ იცის.

არავის ახსოვს ლაგოდეხის რაიონის სოფელი გრაფოვკაც – რუს მოლოკანთა დასახლება. წინა ზაფხულს აქ ნამყოფიც ვიყავი და ფოტოებიც მქონდა გადაღებული. მაშინ მზიანი დღე იყო და მთელი მოსახლეობა გარეთ იყო გამოსული. ამჯერად გრაფოვკას უყმურ, მარტის წვიმიან დღეს მივაღექეთ. ვილაცამ შეგვნიშნა ტალახიან შარაზე აპარატი და ვიდეოკამერით მოხეტიალეები და სახლში შეგვიპატიჟა. ცისანა გოდერძიშვილი, ჩვენი მძლოლი ვალერი ბალაშვილი და მე უეცრად აღმოვჩნდით სულ სხვა სამყაროში. რუსული ფეხით, ცისფრად მოხატული კედლებით, კიტრის მწნილით, დილით მოკლული გარეული იხვით. ბლანტი ფერის არაყიც სხვანაირ ბოთლში ესხა, გემოც სხვა ჰქონდა და უზარმაზარ პურსაც სხვანაირად ჭრიდნენ. აქვე ვიტყვი, რომ ამჯერად გრაფოვკა ჩვენი მოგზაურობის უკანასკნელი პუნქტი იყო – იქიდან პირდაპირ თბილისში გამოვემგზავრეთ, მაგრამ ეს უკანასკნელი შთაბეჭდილება კიდევ ერთი ფერი იყო იმ მრავ-

26-28. ბაირამობის დღესასწაული. სოფ. კაბალი
The festivity of Bayram. The village of Kabali



and telephones, every attempt on the part of the organizers to keep the spectators in a wide circle away from the fighters failed; as soon as a fight started, the circle broke and hundreds of spectators crowded the dogs; a temporary dispersal of a scramble was the only sign of another fight being over.

Generally, the part of *Bayram* that I saw with my own eyes looked more like a political action than a public, all the more a religious festivity. The wrestling tournament was attended by representatives of the local and regional authorities. The names of Mikheil Saakashvili and Ilkham Aliev frequently sounded through the microphone and each mention of these two leaders was followed by a thunderous ap-

30. დღის მონაწილე (ფოტო: ა. კიკოძე)
A horserace competitor (Photo by A.Kikodze)





plaud. In one word, I expected a lot from this *Bayram*. Unlike the spring festivity that I saw in the Leki village, it was very mundane, planned and politicized. It is understandable to some extent. The Azerbaijani diaspora is the largest in Georgia and it constitutes 7 % of the population; as for the three Avar villages standing in a distance from the highway, no one remembers about them and many do not even know about their existence.

Nobody remembers the village of Grafovka, the Lagodekhi district: the abode of Russian Molokans. I was there last summer and I even took pictures. It was a sunny day then, too, and the entire population was outside. This time, we reached Grafovka on a nasty, rainy day of March. Somebody noticed us wandering down the village alley with our photo and video cameras and invited us inside. Tsisana Goderdzishvili, our driver Valeri and I suddenly found ourselves in a totally different world, with its Russian stove, walls painted blue, pickles, a wild goose just killed that morning. Dimly colored vodka was poured in a different bottle, too, and it even tasted differently, they also sliced huge loaves of bread differently. I will note here that Grafovka was the final stop on our journey: we went straight back to Tbilisi from there; but this last impression was yet another color in that multicolored palette, in that celebration of diversity, which we have witnessed in fast-forward mode in the course of the last few years. I see Grafovka, and Russian villages in general, in blue colors (blue walls, blue stoves, blue shutters, azure head covers); when I remember Muslim villages (settlements of Avars and Azerbaijanis), the first color that I see is bright red. They do not use so much red anywhere else. Those two colors are so striking, so different from each other that one might



ვალფეროვან პალიტრაში, იმ განსხვავებათა ზეიმში, რაც ამ რამდენიმე დღის მანძილზე მოვიხილეთ.

გრაფოვკას, და საერთოდ, რუსულ სოფლებს მე ცისფერ ფერებში ვხედავ (ცისფერი კედლები, ცისფერი ფიქები, ლურჯი და-რაბები, ღია ცისფერი თავსაკრავები), მუსულმანური სოფლები (ავარების და აზერბაიჯანლების დასახლებები) რომ მახსენდება, პირველი ფერი, რომელიც თვალწინ მიდგას, მჭახე წითელია. არსად სხვაგან არ აცვიათ ამდენი წითელი. ეს ორი ფერი იმდენად თვალშისაცემია, იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან, რომ კონცეპტუალური ფოტო-გამოფენის მოწყობაც შეიძლება, სახელით: წითელი და ცისფერი. შეიძლება, ვინმეს მოეწონოს კიდევ ეს იდეა და ხორციც შეასხას ერთ მშვენიერ დღეს...

ჩვენს გრაფოვკელ კეთილ მასპინძელს, მარია ხამუტოვას, იმ დღეს თავისი შვილიც ჰყავდა სტუმრად – შუა ხნის მამაკაცი იყო და სამხედრო თვითმფრინავებზე ბორტმექანიკოსად მუშაობდა თბილისის აეროპორტში. გრაფოვკაში მოხუცი, მარტოდმარტო დარჩენილი დედის სანახავად იყო ჩამოსული. დედას „ბაბულიას“ ეძახდა. მომეჩვენა, რომ მათი რუსულიც სხვანაირი იყო ან მე მაქვს ყური ამ ენას გადაჩვეული. დიდხანს ვისაუბრეთ, უფრო მარია გვიამბობდა საკუთარი ცხოვრების და თავისი დაქსაქსული ოჯახის შესახებ. გარეთ წვიმდა, ბლანტი ფერის არაყს მჟავე კიტრს ვაყოლებდით, წინ გზა გველოდა და არ მქონდა შეგრძნება, რომ ხალხს, რომელსაც ამ უჩვეულო მოგზაურობის დროს შევხვდი, ოდესმე კიდევ შევხვდებოდი. სიზმარივით იყო ეს ყველაფერი, ოღონდ ლამაზი, მრავალფერი სიზმარივით.

have a conceptual photo exhibition titled Red and Blue. Someone might like this idea and even realize it one day...

Our kind Grafovka hostess, Maria Khamutova, had her son over visiting with her: it was a middle aged man who worked as a military airplane mechanic in the Tbilisi Airport. He was visiting with his elderly mother in Grafovka, who was left there all by herself. He called his mother, "*babulia*" (grandma). Their Russian seemed different to me, too, or it was just that I had grown unaccustomed to that language. I cannot remember what we spoke about. It was mainly the host telling us about his personal life and his scattered family. It was raining outside, we chased dimly colored vodka with pickles, we had a journey awaiting us, and I did not have the feeling that I would ever meet the people that we had seen during our brief and unusual trip. All of it resembled a dream, yet, a beautiful and colorful dream.